# ქართული ენის

# სამეტყველო ფუნქციები

ლაპარაკი; მოსმენა

 

თბილისი

2012

მასალა განკუთვნილია არაქართულე-
ნოვანი სტუდენტებისათვის.

ტექსტებზე მუშაობდნენ: ნათია გორგაძე, შალვა ტაბატაძე, ლია ბაკურაძე, ქეთევან გოჩიტაშვილი, მარიამ მანჯგალაძე, ჭაბუკი ქირია.

კონცეფციის ავტორი, შემდგენელი და მთავარი რედაქტორი
**კახა გაბუნია**

© გამომცემლობა „საიმედო“

# I ნაწილი

საკითხავი

**READER**

# შინაარსი


თემა 1 - ქართული ენის ბგერითი შედგენილობა . . . . . 5

გაკვეთილი 1 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5

გაკვეთილი 2 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 9

თემა 2 - მარცვალი, სიტყვა . . . . . . . . . . . . . . . . 14

გაკვეთილი 3 14

თემა 3 - მარტივი კითხვები: ვინ ხარ? სად ცხოვრობ? რომელი ქალაქიდან/სოფლიდან ხარ? რამდენი წლის ხარ? . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 20

გაკვეთილი 4 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 20

თემა 4 – ინტერაქცია (მისალმება, მოკითხვა, გაცნობა, დამშვიდობა თხოვნის გამოხატვა; ნებართვის თხოვნა, მადლიერება) . . . . . . . . . . . . . . . . . 26

გაკვეთილი 5 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 26

გაკვეთილი 6 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 32

გაკვეთილი 7 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 37

თემა 5 - ოჯახისა და საკუთარი თავის შესახებ . . . . . 41

გაკვეთილი 8 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 41

შუალედური ტესტირება . . . . . . . . . . . . . . . . . 47

გაკვეთილი 9 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 47

თემა 6 - საჭმელი, სასმელი, საკვები პროდუქტები; მარტივი ყოფითი სცენები და დიალოგები ბაზარში / მაღაზიაში / სუპერმარკეტში . . . . . 53

გაკვეთილი 10 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 53

გაკვეთილი 11 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 59

თემა 7 – სოფელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 64

გაკვეთილი 12 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 65

თემა 8 – დრო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 71

გაკვეთილი 13 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 71

თემა 10 - ქალაქი, ტრანსპორტი . . . . . . . . . . . . 78

გაკვეთილი 14 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 78

თემა 11 - ადამიანის აგებულება; ჯანდაცვა . . . . . . . . 84

გაკვეთილი 15 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 84

# თემა 1
# ქართული ენის ბგერითი შედგენილობა




*გაკვეთილი 1*

1. მოისმინეთ ქართული ბგერები: [1]

2. მოისმინეთ და გაიმეორეთ: [2]

3. მოისმინეთ და წარმოთქვით ხმოვნები: [3]

4. მოისმინეთ და წარმოთქვით თანხმოვნები: [4]

5. ივარჯიშეთ სიტყვების წარმოთქმაში: [5]

6. წარმოთქვით სურათზე გამოსახული ნივთებისა და ცხოველების სახელები ქართულად:












7. მოისმინეთ და წარმოთქვით: [6]

8. მოისმინეთ და წარმოთქვით ხმოვნები: [7]

9. მოისმინეთ და წარმოთქვით თანხმოვნები: [8]

10. ივარჯიშეთ წარმოთქმაში: [9]

11. შემოხაზეთ თანხმოვნები:

კ გ უ ლ მ თ ტ ა ბ

ე ვ დ ი რ ო ზ

12. შემოხაზეთ ხმოვნები:

ბ ე ლ მ ვ კ გ თ დ ი

რ ო ზ უ ტ ა

13. ივარჯიშეთ სიტყვების წარმოთქმაში: [10]

14. მოისმინეთ და წარმოთქვით: [11]

15. მოისმინეთ და წარმოთქვით ხმოვნები: [12]

16. მოისმინეთ და წარმოთქვით თანხმოვნები: [13]

17. ივარჯიშეთ წარმოთქმაში: [14]

18. შემოხაზეთ ხმოვნები:

კ ჯ გ უ ლ მ თ ტ წ ა ბ ე ვ დ

ი ჭ რ ო ზ ღ ჰ

19. შემოხაზეთ თანხმოვნები:

ბ ლ რ ო ზ ღ მ ა ე თ ტ ჯ გ ჰ

უ დ წ ვ კ ი ჭ

20. ვივარჯიშოთ სიტყვების წარმოთქმაში: [15]

  *გაკვეთილი 2*

1. წარმოთქვით სურათზე გამოსახული ნივთებისა და ცხოველების სახელები ქართულად:













2. მოისმინეთ და წარმოთქვით: [16]

3. მოუსმინეთ და ივარჯიშეთ ბგერების წარმოთქმაში: [17]

4. მოუსმინეთ ქართულ ბგერებს ანბანთრიგზე და გაიმეორეთ ამავე თანამიმდევრობით: [18]

5. მოუსმინეთ აუდიოტექსტს და გაიმეორეთ: [19]

6. ივარჯიშეთ წარმოთქმაში:

გ – ქ – კ
ძ – ც – წ
ჯ – ჩ – ჭ
დ – თ – ტ
ღ – ხ
ზ – ს
ჟ – შ

7. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ღ – ხ – ყ ბგერების გამოთქმას და ივარჯიშეთ:

| | |
|---|---|
| ღრუ – ყრუ | ყელი - ხელი |
| ღია – ყია | ყვავი - ხვავი |
| ღრმა – ყრმა | ყმა - ხმა |
| ღორი – ყორე | ყანა - ხანა |

8. ივარჯიშეთ წარმოთქმაში:

ს – ზ

სოლი – ზოლი

სარი - ზარი

ნესვი – ნეზვი

სარი – ზარი

თ – ტ

თარი – ტარი

თარო – ტარო

ჩითი – ჩიტი

თუში – ტუში

ქ – კ

ქარი – კარი

ქუდი – კუდი

ქერა – კერა

ქულა – კულა

ქაქანი – კაკანი

ფ – პ

ფაფა – პაპა

ფური – პური

ფირი – პირი

ფაქტი – პაქტი

ც – წ

ცელი – წელი

ცურავს – წურავს

ჩ – ჭ

ჩალა – ჭალა

ჩია – ჭია

ჩირი – ჭირი

გ – ღ

გვარი – ღვარი

გომი – ღომი

გუგუნი – ღუღუნი

გორი – ღორი

ღ – ყ

ღრუ – ყრუ

ღია – ყია

ღრმა – ყრმა

ღორი – ყორე

ყ – ხ

ყელი – ხელი

ყვავი – ხვავი

ყმა – ხმა

ყანა – ხანა

9. მოუსმინეთ ტექსტს: [20]

10. წარმოთქვით და ივარჯიშეთ ბგერების წარმოთქმაში: [21]

11. მოუსმინეთ რამდენიმე სიტყვას, რომელშიც შედის ბგერა ყ და ივარჯიშეთ წარმოთქმაში: [22]

12. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ღ – ხ – ყ ბგერების გამოთქმას; მოუსმინეთ და ივარჯიშეთ: [23]

13. მოისმინეთ რამდენიმე ტექსტი, მიაქციეთ ყურადღება ქართულისთვის სპეციფიკური ბგერების წარმოთქმას. [24-1-2-3-4-5]

# თემა 2

# მარცვალი, სიტყვა

 

*გაკვეთილი 3*

1. მოისმინეთ და წარმოთქვით: [25]

2. მოისმინეთ და ივარჯიშეთ ბგერების მარცვლებად წარმოთქმაში: [26]

3. მოისმინეთ მარცვლები და შეადგინეთ სიტყვა: (მაგალითად: ფან ჯა რა - ფანჯარა) [27]

4. მოცემული ნიმუშების მიხედვით დამარცვლეთ სიტყვები:

***მარცვალში აუცილებლად არის ხმოვანი:*** კა-ცი, დე-და, ბავ-შვი, წიგ-ნი...
***თუ ხმოვანს მოსდევს ორი ან მეტი თანხმოვანი, პირველი თანხმოვანი პირველ მარცვალს ეკუთვნის, დანარჩენი – მეორეს:*** წიგ-ნი, ბავ-შვი.
***თუ სიტყვა ხმოვნით იწყება, ის ცალკე მარცვალს ქმნის***: ა-თა-სი, ო-რა-სი.

***თი ორი ხმოვანია სიტყვაში, წინ კი თანხმოვანია, პირველი ხმოვანი წინა მარცვალს ეკუთვნის, მეორე კი – ცალკე მარცვალს ქმნის:*** ა-და-მი-ა-ნი, ბი-ჭი-ა.

### თ

თითი. ათი თითი. ადამიანს ათი თითი აქვს.

თასი. აი თასი. თასში ღვინო ასხია.

ათასი. ათასი გვერდი. წიგნში ათასი გვერდია.

### ტ

ტატო. ტატო ბიჭია. ტატო ძალიან კარგი ბიჭია.

ტასო. ტასო გოგოა. ტასო ძალიან კარგი გოგოა.

ტურა. ტურა ცხოველია. ტურა გარეული ცხოველია.

### ქ

ქუდი. დიდი ქუდი. ეს ქუდი ძალიან დიდია.

ქარი. ძლიერი ქარი. დღეს ძლიერი ქარია.

ქერა. ქერა თმა. ტასოს ქერა თმა აქვს.

### ღ

ღორი. დიდი ღორი. ეს ძალიან დიდი ღორია.

ღომი. ღომი გემრიელია. ეს ღომი ცხელია.

ღონიერი. ღონიერი კაცი. ტატოს მამა ძალიან ღონიერია.

## ყ

ყანა. დიდი ყანა. ზურაბს დიდი ყანა აქვს.

ყაყაჩო. ყაყაჩო ყვავილია. ყაყაჩო ძალიან ლამაზი ყვავილია.

ბაყაყი. ბაყაყი მწვანეა. ბაყაყი წყალში ყიყინებს.

## პ

პეპელა. პეპელა ლამაზია. ჭრელი პეპელა ძალიან ლამაზია.

პაპა. პაპა მოხუცია. პეტრე პაპა ძალიან მოხუცია.

პური. პური გემრიელია. ცხელი პური ძალიან გემრიელია.

პირი. დიდი პირი. ბავშვმა დიდი პირი დააღო.

## ჟ

ჟუჟუნა. ჟუჟუნა ქალია. ჟუჟუნა ქალის სახელია.

ჟამი. ჟამი დროა. კარგი ჟამი დადგა.

ჟღერს. ზარი ჟღერს. ეს ზარი ძალიან კარგად ჟღერს.

## ფ

ფაფა. ფაფა გემრიელია. ბავშვს გემრიელი ფაფა აჭამეს.

ფეხი. ფეხი სტკივა. პეტრე პაპას ფეხი სტკივა.

ოფოფი. ოფოფი ფრინველია. ოფოფს ფერადი ბუმბული აქვს.

## ძ

ძიძია. ძიძია ქალია. ძიძია ქალის ქართული სახელია.
ძროხა. ძროხა ცხოველია. ძროხა შინაური ცხოველია.
ძეხვი. ძეხვი გემრიელია. ზურას ძეხვი ძალიან უყვარს.

## წ

წიწილა. პატარა წიწილა. პატარა წიწილა ძალიან წივის.
წყარო. ცივი წყარო. ამ წყაროს წყალი ძალიან ცივია.
წამალი. მწარე წამალი. ბავშვმა მწარე წითელი წამალი დალია.

## ჭ

ჭა. ღრმა ჭა. ჭაში ძალიან ცივი წყალია.
ჭაჭა. ბევრი ჭაჭა. ჭაჭისგან არაყს ამზადებენ.
ჭამს. ბევრს ჭამს. დიდი ღორი ბევრ საჭმელს ჭამს.
ჭრიჭინა. ჭრიჭინა პატარაა. ზაფხულში ჭრიჭინა ჭრიჭინებს.
კაჭკაჭი. კაჭკაჭი ფრინველია. კაჭკაჭი ტყეში ცხოვრობს.
საჭმელი. გემრიელი საჭმელია. ბავშვმა საჭმელი შეჭამა.

## ჯ

ჯაბა. ჯაბა ბიჭია. ჯაბა ძალიან ღონიერი ბიჭია.
ჯოხი. გრძელი ჯოხი. ჯაბამ გრძელი ჯოხი შორს გადააგდო.

უჯრა. დიდი უჯრაა. ჯაბამ უჯრაში ჯაყვა ჩადო.

ფანჯარა. ფართო ფანჯარა. ჯაბამ ფინჯანი ფანჯრიდან გადააგდო.

ხ

ხარი. დიდი ხარი. ხარი შინაური ცხოველია.

ხელი. დიდი ხელები. ხათუნას დიდი ხელები აქვს.

ხმა. მაღალი ხმა. ხათუნას ხმამაღლა ლაპარაკი უყვარს.

ჰ

ჰავა. თბილი ჰავა. საქართველოში თბილი ჰავაა.

ჰაერი. კარგი ჰაერი. მთაში კარგი ჰაერია.

ჰამაკი. კარგი ჰამაკი. ჰამლეტს კარგი ჰამაკი ჰქონდა.

**5. წაიკითხეთ მოცემული მარცვლები, ააგეთ მათგან სიტყვები და წარმოთქვით:**

ფინ- სა- ხე- ძრო- წი- ხა- წი- პა- ტა-
ლა- რა- წყა- წყა- ლი- ძა- ლი- ან- ცი- ვი-
ფან- წა- ლი- მა- ჯა- ღა- ლი- მწა- ნი-
რე- ბავ- შვი- რო - პა- ტა- ლი- რა- ვე-
გრძე- ზაფ- ხუ- ლი- ლი- საჭ- მე- ვა- ლი-
ღო- ე- რი- ჯა- რა- ლი- ნი- ცხო- ხმა-
მა- ლი- ჰა- თბი-

6. ᲕᲘᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲗ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲕᲚᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐᲨᲘ.

(მასწავლებელი აძლევს სტუდენტებს სიტყვებს დასამარცვლად; მეორე მხრივ, აძლევს მარცვლებს და აჯიბრებს, ვინ მეტ სიტყვას შეადგენს მოცემული მარცვლებიდან).

7. ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲐᲣᲓᲘᲝᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ. ᲒᲐᲓᲛᲝᲔᲪᲘᲗ ᲢᲔᲥᲡᲢᲗᲐᲜ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ. [28-1-2-3-4-5-6-7]

# თემა 3

# მარტივი კითხვები: ვინ ხარ? სად ცხოვრობ? რომელი ქალაქიდან/სოფლიდან ხარ? რამდენი წლის ხარ?



*გაკვეთილი 4*

1. მოისმინეთ ტექსტი: [29]

2. უცნობი სიტყვების განმარტებები მოიძიეთ ლექსიკონში და დაიმახსოვრეთ:

    მე
    
    ვარ
    
    მასწავლებელი
    
    კაცი
    
    ქალი
    
    ბიჭი
    
    გოგო
    
    დიდი
    
    პატარა
    
    მაღალი
    
    დაბალი
    
    უშნო
    
    ლამაზი

3. ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲐᲒᲔᲗ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲘᲗ.

4. ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ:

| | |
|---|---|
| ის ქალი | ლამაზია. |
| ეს კაცი | დაბალია. |
| ის ბიჭი უშნო არ არის, | მაღალია. |

5. ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ: [30]

6. ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ:

ია ლამაზი ყვავილია?

ია დიდი ყვავილია?

ყაყაჩო ყვითელი ყვავილია?

წითელი ყაყაჩო ლამაზია?

7. ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲡᲕᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: (ᲛᲝᲜᲘᲨᲜᲔᲗ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ!)

ეს ყაყაჩოა

ეს რა არის?　　　　ეს ვინ არის?

8. ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ (ᲓᲐᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲐᲓ): [31]

9. წარმოთქვით სიტყვები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | | |
|---|---|---|
| ის | არ | ბაყაყი |
| კაცი | ლამაზი | მწვანე |
| მაღალი | ექიმი | ყიყინებს |
| დაბალი | ია | წიგნი |
| შენ | ყვავილი | რვეული |
| პატარა | ყაყაჩო | კარგი |
| გოგო | ყვითელი | ცუდი |
| ბიჭი | წითელი | |
| უშნო | რა | |

10. ამ სიტყვების გამოყენებით ააგეთ წინადადებები და წარმოთქვით.

11. მოისმინეთ დიალოგი: [32]

12. შეარჩიეთ სწორი პასუხი და დაუკავშირეთ კითხვას ისრით:

| | |
|---|---|
| შენი და ვინ არის? | ეს ჩემი დის წიგნია. |
| შენი და მაღალია? | ჩემი და მოსწავლეა. |
| ეს ვისი წიგნია? | არა, ის მაღალი არ არის, ის დაბალია. |

13. თანმიმდევრობით დაალაგეთ დიალოგი (მიუწერეთ რიცხვები):

–ეს ვინ არის?

– ეს ნანაა, ჩემი და.

–შენი და ვინ არის?

–ჩემი და მოსწავლეა.

–შენი და მაღალია?

–არა, ის მაღალი არ არის, ის დაბალია. ჩემი და პატარაა.

14. მოსმენილი დიალოგის მიხედვით, ჩასვით სათანადო ადგილას:

წიგნებია მასწავლებელია რვეულები

ეს ............................................... გოგოებისაა

ეს ჩვენი ..............................................

დედაჩემი ..............................................................

15. მოისმინეთ ტექსტი: [33]

16. ტექსტის მიხედვით განსაზღვრეთ, სწორია თუ არა და მიუწერეთ (კი ან არა):

ნიკა საქართველოს მოქალაქეა. ______________

ნიკა მოსწავლეა. ______________

ნიკა სტუდენტი არ არის. ______________

საქართველო ნიკას სამშობლოა. ______________

ნიკა ქართულის მასწავლებელია. ______________

## 17. დაუკავშირეთ კითხვებს სწორი პასუხები:

| | |
|---|---|
| ნიკა მოსწავლეა? | ნიკას, აზიზის და არტურის სამშობლო საქართველოა. |
| რა არის ნიკას, აზიზის და არტურის სამშობლო? | ისინი უნივერსიტეტში სწავლობენ. |
| სად სწავლობენ ნიკა, აზიზი და არტური? | ის ქართულის მასწავლებელია. |
| ვინ არის ბიჭების ლექტორი? | ნიკა სტუდენტია. |

## 18. დაასრულეთ წინადადებები:

*მეგობარია აქვთ სწავლობენ სტუდენტია ქალაქია*

თბილისი ნიკას ......................................

ნიკა მოსწავლე არ არის, ის ......................................

არტური ნიკას ......................................

ნიკა, აზიზი და არტური უნივერსიტეტში......................................

ნიკას, არტურს და აზიზს ლექციები ......................................

19. უპასუხეთ:

| |
|---|
| *შენ ვინ ხარ? სად ცხოვრობ? სად სწავლობ?*<br>*სად მუშაობ?* |

<u>ნიმუში</u>: მე ვარ არმენ მანუკიანი... მე ვცხოვრობ ახალქალაქის რაიონის სოფელ კუმურდოში...

(ინდივიდუალური მუშაობა; მონაწილეობას იღებს ყველა სტუდენტი).

20. ისაუბრეთ ერთმანეთში ოჯახის წევრის, მასწავლებლის, მეგობრის შესახებ (ვინ არის? სად ცხოვრობს? სად სწავლობს / სად მუშაობს?)

(წყვილებში მუშაობა; მონაწილეობას იღებს ყველა სტუდენტი).

# თემა 4

# ინტერაქცია

## (მისალმება, მოკითხვა, გაცნობა, დამშვიდობა თხოვნის გამოხატვა; ნებართვის თხოვნა, მადლიერება)

 

*გაკვეთილი 5*

1. დაიმახსოვრეთ:

## მისალმების ფორმები

**გამარჯობა!** – მისალმების ეს ფორმა ხშირად გამოიყენება როგორც თანატოლების, ისე განსხვავებული ასაკის ადამიანთა ურთიერთობისას.

**გაგიმარჯოს!** – ეს ფორმა, როგორც წესი, საპასუხოდ იხმარება.

მაშასადამე: – **გამარჯობა!**

– **გაგიმარჯოს!**

**გამარჯობა!** ფორმას პასუხად ზოგჯერ ისევ **გამარჯობა!** მოსდევს:

– **გამარჯობა!**

საუბრისას, ზრდილობის, განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატვის ნიშნად გამოიყენება **გამარჯობათ!** ფორმა, რომელიც ზეპირ მეტყველებაში შეიძლება ვიხმაროთ, მაგრამ სალიტერატურო ქართულისთვის ნორმა არაა.

**დილა მშვიდობისა!** – მისალმების ეს ფორმა გამოიყენება დილით. ადამიანები ერთმანეთს მშვიდობიან დღეს უსურვებენ.

**საღამო მშვიდობისა!** – მისალმების ეს ფორმა საღამოს გამოიყენება.

**სალამი!** – იშვიათად გამოიყენება მისალმების ეს ფორმაც, ძირითადად თანატოლების, ზოგჯერ მოსწავლეებისა და მასწავლებლების ურთიერთობისას სკოლაში.

**სალამი!** ფორმის ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ

**მოგესალმებით!**

მისალმების ეს ფორმა უფრო ხშირად საზოგადოებრივ შეკრებებზე – აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას გამოიყენება:

– მოგესალმებით!

– გამარჯობათ!

**2. მოისმინეთ დიალოგი: [34]**

**3. ისრებით დაუკავშირეთ კითხვებს სწორი პასუხები:**

| | |
|---|---|
| – გამარჯობა! | – დიახ, ჩვენ სტუდენტები ვართ. |
| –თქვენ სტუდენტები ხართ? | – არა, ჩვენ კარგად არ ვიცით ქართული. |
| –ქართული კარგად იცით? | – კი, ეს ქართული ენის ჯგუფია. |
| –ეს ქართული ენის ჯგუფია? | – გაგიმარჯოთ! |

**4. ჩასვით სათანადო ადგილას:**

ცუდად     კარგად     სასიამოვნოა

ქართული .......................................... იცით?
ჩვენ ............................................... ვლაპარაკობთ ქართულად.
............................................... თქვენი გაცნობა.

**5. ახალი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, დაწყვილდით და მიესალმეთ ერთმანეთს / მასწავლებელს.**

6. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:

## გაცნობის ფორმები

გაიცანი, ეს ...!

იცობდეთ ერთმანეთს, ეს ..., ეს ...

ჩვენ ვიცნობთ (არ ვიცნობთ) ერთმანეთს?

თუ შეიძლება, გამაცანით თქვენი მეგობარი!

ნება მომეცით, გაგაცნოთ ბატონი ...

რა გვარი ბრძანდებით?

ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ: ჩემი გვარია...

გავიცნოთ ერთმანეთი, მე ... ვარ // გახლავართ.

სასიამოვნოა თქვენი გაცნობა!

7. მოისმინეთ დიალოგი: [35-1-2-3]

8. დაწყვილდით და მოსმენილის მიხედვით ააგეთ მსგავსი დიალოგები.

9. წარმოთქვით მისალმების სათანადო ფორმა:





10. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲓᲘᲚᲘᲗ? ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ?

11. ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲘ: [36; 37]

12. ᲨᲔᲐᲔᲠᲗᲔᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:

| | |
|---|---|
| ვინ არის გურამ აბესაძე? | ნიკა ბერიძე დაიბადა და გაიზარდა გორის რაიონის სოფელ სკრაში. |
| სად ცხოვრობს გურამი? | ბაგრატი დაიბადა ჯავახეთში, ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში. |
| სად დაიბადა ნიკა ბერიძე? | აჰმედი ახლა ცხოვრობს თბილისში, კრწანისის რაიონში, ორთაჭალაში. |
| სად ცხოვრობს ახლა ნიკა? | გურამი ქართული ენის ახალი მასწავლებელია. |
| სად დაიბადა ბაგრატი? | ახლა ნიკა ცხოვრობს თბილისში, კრწანისის რაიონში. |
| სად ცხოვრობს ახლა აჰმედი? | გურამი ცხოვრობს თბილისში, მთაწმინდის რაიონში. |

13. ᲓᲐᲬᲧᲕᲘᲚᲓᲘᲗ, ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲘ.

14. მოისმინეთ დიალოგი: [38]

15. გაითამაშეთ მისალმებისა და გაცნობის სცენები.

(მუშაობა წყვილებში).

 



## 1. დაიმახსოვრეთ:

**ნახვამდის!** – გამომშვიდობების ეს ფორმა ყველაზე ხშირად გამოიყენება და იგი გულისხმობს, რომ მომავალი შეხვედრა მალე შედგება.

**კარგად ბრძანდებოდეთ!** – ეს ფრაზა განსაკუთრებით საპატივცემულო პიროვნების მიმართ გამოიყენება.

**კარგად იყავი! (კარგად იყავით!)** - ეს ფორმა კი ახლობლებს, თანატოლებს შორის იხმარება.

**მშვიდობით!** – გამომშვიდობების ეს ფორმა იშვიათად გამოიყენება და მხოლოდ მაშინ, თუ შეხვედრა დიდი ხნით ან სამუდამოდ გადადებულია.

**მომავალ შეხვედრამდე!** – გამომშვიდობების თავაზიანი ფორმაა და მალე შეხვედრის იმედს გულისხმობს.

**მშვიდობით ბრძანდებოდეთ!** – ეს იგივეა, რაც **კარგად ბრძანდებოდეთ**, მაგრამ განშორება უფრო ხაზგასმულია, გამკვეთრებულია.

**ღამე მშვიდობისა!** - ოფიციალური ფორმებია
**მშვიდობიან ღამეს გისურვებთ!** დამშვიდობებისა.

**ძილი ნებისა!** – დამშვიდობების ეს ფორმა ძილის წინ გამოიყენება.

2. ყურადღება მიაქციეთ და დაიმახსოვრეთ:

**დილა მშვიდობისა!** და **საღამო მშვიდობისა!** - მისალმების ფორმებია; **ღამე მშვიდობისა!** კი – გამომშვიდობებისა.

3. მოისმინეთ დიალოგები: [39]

4. შემოხაზეთ ფრაზა, რომელსაც გამომშვიდობებისას გამოიყენებთ.

დილა მშვიდობისა!

საღამო მშვიდობისა!

ღამე მშვიდობისა!

5. მოცემული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, დაწყვილდით და დაემშვიდობეთ ერთმანეთს / მასწავლებელს.

6. წარმოთქვით, დამშვიდობების რომელი ფრაზა მიესადაგება ამ ნახატებს.





7. წარმოთქვით, დამშვიდობების რომელი ფრაზა მიესადაგება ამ ნახატებს.





8. როგორ დაემშვიდობებიან ეს ადამიანები ერთმანეთს?
წარმოთქვით შესაბამისი ფორმები:





9. მოისმინეთ დიალოგი: [40]

10. კიდევ ერთხელ მოისმინეთ ტექსტი და ჩასვით სათანადო სიტყვები / ფრაზები მრავალწერტილის ნაცვლად:

*როგორ ბრძანდებით? გმადლობთ*

*საღამო მშვიდობისა კარგად შეიძლება?*

–ქალბატონო მარიამ, ...................................................

–..................................................................., ქალბატონო მარიამ,

............................ ...................................................

–........................................., დეა, შენ?

–......................................, კარგად, ქალბატონო მარიამ!

11. მოისმინეთ დიალოგები: [41]

12. შეადგინეთ მსგავსი დიალოგები.

13. მოუსმინეთ ტექსტს: [42]

14. მიუწერეთ, სწორია თუ არასწორი:

დეა პატარა გოგოა. ....................................................

დეა სკოლაში დადის. ............................................................

დეას ძმას სკოლაში დადის. ....................................................

დეამ კითხვა იცის. .............................................................

დეა ძმას სთხოვს წაუკითხოს ზღაპრები.

.......................................................

 

## *ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ 7*

1. ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲗ:

**როგორ ხარ?** – მოკითხვის ფორმა ახლობელ ადამიანთა შორის.

**როგორ ბრძანდებით?** – მოკითხვის ფორმა საპატივცემულო ადამიანის მიმართ.

**როგორ გიკითხოთ?** – ეს ფორმაც განსაკუთრებულ პატივისცემას გულისხმობს.

ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲐ:

↑

**კარგად!**

**არა მიშავს!** **ისე რა!**

**ნელ-ნელა!**

**ცუდად!**

2. ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲓᲘᲗ ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ (ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ).

### 3. მადლიერების ფორმები:

**მადლი** სიკეთეს ნიშნავს. მადლიერების გამომხატველ ფორმაში ჩადებულია ის აზრი, რომ მთქმელი მეორე ადამიანს სიკეთედ უთვლის ნამოქმედარს.

**გმადლობ!** – მადლიერების გამომხატველი ფორმა.

**გმადლობთ**! – მადლიერებასთან ერთად თავაზიანობასა და პატივისცემასაც გულისხმობს.

**მადლობელი ვარ! // მადლიერი ვარ!** - მადლობის გამოსახატავად ეს ფორმებიც გამოიყენება.

საპასუხო ფორმაა: **არაფრის!**

### 4. დააჯგუფეთ წყვილებად და გაითამაშეთ დიალოგი (მადლიერების ფორმების გამოყენებით).

### 5. მობოდიშების ფორმები:

**ბოდიში!** – ეს ფორმა გამოიყენება თანატოლებს ან ახლობლებს შორის.

**მაპატიეთ!** – დიდ მორიდებასა და მოწიწებას გულისხმობს.

**უკაცრავად!** – ეს ფორმა მეტად თავაზიანია და გამოიყენება პატივისცემისა და ჩადენილის მონანიების განცდით.

საპასუხო ფორმაა: **არა უშავს!**

6. აღწერეთ სურათები. გამოიყენეთ თქვენ მიერ ნასწავლი მისალმება-გამომშვიდობებისა და მადლიერება-მობოდიშების გამომხატველი ფორმები.





7. მოისმინეთ დიალოგი: [43]

8. დაიმახსოვრეთ:

| | |
|---|---|
| მოკითხვა გადაეცი<br>ან<br>მომიკითხე | თავაზიანი მიმართვის ფორმაა. გამოიყენება ნაცნობისათვის გახსენების, მოკითხვის გადაცემის დროს. კეთილ სურვილებს გამოხატავს. |

9. უპასუხეთ კითხვებს:

I. რას უსურვებენ გამომშვიდობებისას ქართველები ერთმანეთს?

II. როგორ ესალმებიან ქართველები ერთმანეთს?

III. რომელია მისალმების თავაზიანი ფორმა?

IV. როგორ ვესალმებით საღამოს ერთმანეთს?

V. როგორ ემშვიდობებიან ღამით ერთმანეთს?

VI. რომელია მობოდიშების ფორმები? ჩამოთვალეთ.

VII. ჩამოთვალეთ მადლიერების გამომხატველი ფორმები.

VIII. რომელია მოკითხვის ფორმები?

IX. როგორ პასუხობენ მოკითხვის ფორმებზე?

10. დაწყვილდით. თითოეულმა წყვილმა ააგოს 2-2 დიალოგი მისალმების, დამშვიდობების, მოკითხვის, მადლიერების, მობოდიშების, მოკითხვის ფორმების გამოყენებით და მოახდინოს პრეზენტაცია.

11. მოისმინეთ ტექსტები. დაიმახსოვრეთ ახალი სიტყვები და ფრაზები და გაითამაშეთ დიალოგები. [44-1-2-3-4-5-6-7]

# თემა 5
# ოჯახისა და საკუთარი თავის შესახებ



*გაკვეთილი 8*

1. მოუსმინეთ ტექსტს და დაიმახსოვრეთ: [45]

2. დაიმახსოვრეთ ეს სიტყვები:

დედა

მამა

ძმა

და

შვილი

ბებია

პაპა / ბაბუა

შვილიშვილი

ბიძა / ძია

დეიდა

მამიდა

3. მოისმინეთ და დაიმახსოვრეთ: [46]

4. უცნობი სიტყვები ჩაიწერეთ, მოძებნეთ ლექსიკონში და განმარტეთ.

5. უპასუხეთ კითხვებს:

რა ჰქვია დედის დას?

რა ჰქვია მამის დას?

რა ჰქვია დედის მამას?

რა ჰქვია მამის დედას?

რა ჰქვია შვილის შვილს?

რა ჰქვიათ ერთად დედას და მამას?

რა ჰქვია დედის ძმის შვილს?

რა ჰქვია მამის დის შვილს?

6. ამ სიტყვების გამოყენებით მოუყევით მასწავლებელს თქვენი ოჯახის შესახებ.

(ინდივიდუალური მუშაობა; სავალდებულოა ყველა მსმენელის გამოკითხვა)

7. მოისმინეთ დიალოგები: [47]

8. უცნობი სიტყვები ჩაიწერეთ, მოძებნეთ ლექსიკონში და განმარტეთ.

## 9. უპასუხეთ კითხვებს:

ვინ ესალმება ქეთევანს?
ვინ გააცნო ქეთევანმა გუგას?
ვისი მამიდაშვილია მაია?
ვისი თანაკლასელია გუგა?
რა ჰქვია გუგას დეიდაშვილს?
გუგას ძმა გუგაზე უმცროსია თუ უფროსი?
რა ჰქვია გუგას ძმისშვილს?
სადაურია ლილი?
რომელი ქალაქიდანაა სოფო?
სად ცხოვრობენ ლილის ძმისშვილები?
ვინ ცხოვრობს სოფელ ფოკაში?

## 10. შეაერთეთ კითხვასთან სწორი პასუხი:

| | |
|---|---|
| –რამდენი დეიდაშვილი გყავს? | –არა, ჩემი მშობლები თელავში ცხოვრობენ. |
| –შენ საიდან ხარ, სოფო? | –მე თელავიდან ვარ. ახლა თბილისში ვცხოვრობ. |
| –შენი დედ–მამაც აქ არის? | –თბილისში მე და ჩემი მეგობარი ვცხოვრობთ. |

–შენ და გყავს?

–შენი ბებია და პაპა სად ცხოვრობენ?

–თბილისში ვინ გყავს?

–მე ორი დეიდაშვილი მყავს.

–არა, მე და არ მყავს.

–ისინი სოფელ ფოკაში ცხოვრობენ.

11. ახალ სიტყვებზე ააგეთ 10 წინადადება და წარმოთქვით.

12. მოისმინეთ ტექსტი: [49]

13. უცნობი სიტყვები ჩაიწერეთ, მოძებნეთ ლექსიკონში და განმარტეთ.

14. ახალ სიტყვებზე ააგეთ 10 წინადადება და წარმოთქვით.

15. უპასუხეთ კითხვებს:

რა გვარია ქეთევანი?

სად ცხოვრობს ქეთევანის ოჯახი?

ახლა სად არის ქეთევანი?

რამხელა ა ქეთევანის ოჯახი? ჩამოთვალეთ მისი ოჯახის წევრები.

სად ცხოვრობენ ქეთევანის ბებია და ბაბუა?

რამდენი და ჰყავს ქეთევანის მამას?

რა ჰქვია ქეთევანის დისშვილს?

რამდენი მამიდაშვილი ჰყავს ქეთევანს?

რამდენი ბიძაშვილი ჰყავს ქეთევანს?

რამხელაა ქეთევანის დეიდაშვილი?

სად ცხოვრობენ ქეთევანის დედის მშობლები?

რამდენი შვილი და რამდენი შვილიშვილი ჰყავთ ქეთევანის ბებიასა და ბაბუას?

16. მოისმინეთ დიალოგი და გაიმეორეთ: [50]

17. მოუსმინეთ ტექსტს: [51]

18. უცნობი სიტყვები ჩაიწერეთ, მოძებნეთ ლექსიკონში და განმარტეთ.

19. ახალ სიტყვებზე ააგეთ 10 წინადადება და წარმოთქვით.

20. უპასუხეთ კითხვებს (გამოიყენეთ ტექსტიდან ახალი სიტყვები და ფრაზები):

დიდია თქვენი ოჯახი?

რამდენი სულია თქვენს ოჯახში?

სად მუშაობს დედა?

სად მუშაობს მამა?

სად ვსწავლობთ მე და ჩემი და?

ვისთან ვმეგობრობ?

ვისთან მეგობრობს თეკლა?

21. მოუსმინეთ დიალოგებს: [52]

22. დავიმახსოვროთ:

ჩემი ძმა

ჩემი და

შენი ბიძა

შენი დეიდა

| |
|---|
| დედაჩემი, მამაჩემი; |
| დედაშენი, მამაშენი. |

# შუალედური ტესტირება

*გაკვეთილი 9*

1. მოისმინეთ ტექსტი: [53]

2. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, გაიაზრეთ და მეორეჯერ მხოლოდ ამის შემდეგ მოუსმინეთ ტექსტს.

3. ვინ არის წერილის ავტორი? (დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე).

4. ვინ არის წერილის ადრესატი? ვის სწერს ავტორი წერილს? (დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე).

3. ვინ არის შალვა მეგობისთვის? (დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე).

4. ვინ ცხოვრობს ქუთაისში? (მოიხმეთ ტექსტიდან სწორი პასუხის დამადასტურებელი ციტატა)

5. ვინ არის ანანო მეგობისთვის? (დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე).

6. ᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚ ᲠᲘᲪᲮᲕᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ?

(ამ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად ტექსტის სერიოზული ანალიზია საჭირო. ტექსტში პირდაპირ წერია, რომ სემინარი ოთხშაბათს დაიწყო, მაგრამ არ არის რიცხვი მითითებული. ამას ჩვენ ლოგიკურად გამოვითვლით: სემინარი ერთ დღეს გრძელდება, ღამით მეგი თავის დასთან რჩება და 9 აპრილს ბრუნდება სახლში. მაშასადამე, სემინარი 8 აპრილს ჩატარებულა).

7. ᲛᲔᲒᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤ ᲚᲔᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲠᲩᲐ:

ა) საკუთარი სურვილით

ბ) ლელას თხოვნით

გ) შალვას დავალებით

დ) გიორგის თხოვნით.

(ᲡᲬᲝᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲛᲝᲮᲐᲖᲔᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲗ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ ᲐᲡᲔ).

8. ᲠᲝᲓᲘᲡ ᲬᲔᲠᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ? (ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲗ ᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲐ, ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲗᲘ).

(ამ კითხვაზე პასუხის გასაცემადაც ტექსტის ანალიზია საჭირო. ტექსტში პირდაპირ წერია, რომ შესვენებაზე, დღის 3 საათზე წერს მეგი წერილს. სემინარი ოთხშაბათს დაიწყო, ღამით მეგი თავის დასთან რჩება და 9 აპრილს ბრუნდება სახლში. მაშასადამე, მეგი წერილს ოთხშაბათს, 8 აპრილს, 3 საათზე წერს).

9. სულ რამდენი მოხსენება იყო სემინარზე?

(ტექსტის ყურადღებით მოსმენით იოლად განვსაზღვრავთ, რომ პირველ ნახევარში, მეგის ჩათვლით, 4 მოხსენება იყო, მეორე ნახევარში – 3. სულ 7 მოხსენება ყოფილა სემინარზე).

10. ვისთან აპირებს მეგი ღამით დარჩენას? (დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე).

11. მოუსმინეთ მომდევნო ტექსტს და ახლა უკვე შევავსოთ ტესტი. [54]

1. ვინ არის წერილის ავტორი?

ა. გურამი

ბ. ნანა

გ. ანანო

დ. ბატონი აკაკი

2. ვინ არის წერილის ადრესატი? ვის სწერს ავტორი წერილს?

ა. ანანოს

ბ. დედას

გ. გურამს

დ. ბატონ აკაკის

3. ვინ არის ნანა გურამისთვის?

ა. ცოლი

ბ. შვილი

გ. და

დ. მეგობარი.

4. ვინ ცხოვრობს ქუთაისში?

ა. ნანას ოჯახი

ბ. ანანო

გ. ბატონი აკაკი

დ. არავინ.

5. რომელ რიცხვში ჩავიდა ნანა ანანოსთან ერთად სოფელში:

ა. 6-ში

ბ. 7-ში

გ. 8-ში

დ. 9-ში.

6. ვისთან აპირებს ნანა კასპში ღამით დარჩენას?

______________________________

7. ნანა არის:

ა. სერიოზული ადამიანი

ბ. მხიარული გოგო

გ. გამოცდილი მზარეული

დ. მატყუარა.

8. რას შეჰპირდა ნანა გურამს? შეუსრულა სურვილი?

______________________________________________

______________________________________________

9. როდის წერს წერილს ავტორი? (დაასახელეთ თვის რომელი დღეა და რიცხვი).

______________________________________________

10. რა აწუხებს ნანას დედას?

______________________________________________

11. დაალაგეთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, რა რის მერე მოხდა:

ა) ქუთაისში დაბრუნება

ბ) ცეკვა დისკოთეკაზე

გ) ანანოსთან სოფელში ჩასვლა

დ) თბილისში სპექტაკლზე დასწრება

ე) კასპში ანანოს ბაბუის იუბილეზე ჩასვლა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  |

# თემა 6
# საჭმელი, სასმელი, საკვები პროდუქტები; მარტივი ყოფითი სცენები და დიალოგები ბაზარში / მაღაზიაში / სუპერმარკეტში




*გაკვეთილი 10*

1. მოისმინეთ დიალოგი: [54]

2. უცნობი სიტყვები ჩაიწერეთ, მოძებნეთ ლექსიკონში და განმარტეთ.

3. ახალ სიტყვებზე ააგეთ 10 წინადადება და წარმოთქვით.

4. მიუწერეთ, სწორია თუ არასწორი:

ბადრიჯანი ტკბილია. ______________________

კომბოსტო მწარე არ არის. ______________________

ჩემთვის არ შეიძლება შემწვარი და ცხარე საჭმელები.

______________________

ყველაფერი ძალიან გემრიელია. ______________________

ატამი და ვაშლი არ მიყვარს. ______________________

5. მოისმინეთ ტექსტი: [55]

6. უცნობი სიტყვები ჩაიწერეთ, მოძებნეთ ლექსიკონში და განმარტეთ.

7. ახალ სიტყვებზე ააგეთ 10 წინადადება და წარმოთქვით.

8. შეაერთეთ კითხვასთან სწორი პასუხი:

| | |
|---|---|
| რა იყიდება სურსათის მაღაზიაში? | ახლა მარიამი მაღაზიაშია და ხორცს ყიდულობს. |
| რას ყიდულობს სურსათის მაღაზიაში მარიამი? | ხინკალი ადუღებულ წყალში იხარშება. |
| რას ყიდულობს ახლა მარიამი? | სურსათის მაღაზიაში იყიდება კვების პროდუქტები და სასმელები. |
| რა მოიტანა მამამ პარკით? | მარიამი სურსათის მაღაზიაში ყიდულობს პურს, ყველს, შაქარს, კარაქს, კვერცხს. |
| რაში იხარშება ხინკალი? | მამამ მოიტანა ლიმონათი, მინერალური წყალი და წვენები. |

9. ბანერზე წარმოდგენილია ნახატი „საუზმე ოჯახში“. აღწერეთ ნახატი.

ა. ბანერის აღწერაში მონაწილეობის მიღება სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის.

ბ. მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს

ლექსიკონში იმ საგნების თუ მოვლენების განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა არ იციან ან / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს (სინონიმური, აღწერითი განმარტებები).

10. თქვენ უკვე ისწავლეთ მარტივი და რთული რიცხვები. ძირითადი მათემატიკური მოქმედებების დროს დაგჭირდებათ შემდეგი კონსტრუქციების ცოდნა:

ოთხ-ს **მივუმატოთ** ორ-ი **უდრის** ექვს-ს
**არის / იქნება** ექვს-ი **ტოლია** ექვს-ის
ოთხ-ს **გამოვაკლოთ** ორ-ი **უდრის** ორ-ს
**არის / იქნება** ორ-ი **ტოლია** ორ-ის
ოთხ-ი **გავამრავლოთ** ორ-ზე **უდრის** რვა-ს
**არის / იქნება** რვა **ტოლია** რვ-ის
ოთხ-ი **გავყოთ** ორზე **უდრის** ორ-ს
**არის / იქნება** ორ-ი **ტოლია** ორ-ის

11. ივარჯიშეთ წარმოთქმაში:

| | |
|---|---|
| 3 X 5 =15 | 12 – 5 = 7 |
| 4 X 6 = 24 | 10 – 2 = 8 |
| 10 : 2 = 5 | 5 + 4 = 9 |
| 9 : 3 = 3 | 3 + 4 = 7 |

12. მოუსმინეთ დიალოგებს: [57; 58; 59]

13. უცნობი სიტყვები ჩაიწერეთ, მოძებნეთ ლექსიკონში და განმარტეთ.

14. ახალ სიტყვებზე ააგეთ 10 წინადადება და წარმოთქვით.

15. შეაერთეთ კითხვასთან სწორი პასუხი:

| | |
|---|---|
| –რა ღირს ეს ვაშლი? | –კი, შეგიძლიათ შეამოწმოთ. |
| –რამდენი კილო გინდათ? | –კი, ვიყიდე, ძალიან კარგი ვაშლი და მსხალია. |
| –თქვენ ზუსტი სასწორი გაქვთ? | –სამი კილო. |
| –რამდენი მოგართვათ? | –ორ ლარად მოგართმევთ. |
| –ნიკა, იყიდე ხილი? | –არა, გეგამ არ იცის, ბაზარში რომ ვართ. |
| –გეგამ იცის ბაზარში რომ ვართ? | –ექვსი ლარი. |

16. მონიშნეთ, წინადადება სწორია თუ არასწორი:

ვაშლი ორი ლარი ღირს. ______________________________

სასწორი ზუსტია. ______________________________

ხორცის ნაჭერი მაგარია ______________________________

ნიკამ ბანანი იყიდა. ______________________________

გეგამ იცის, ბაზარში რომ ვართ.

___________________________________

გეგას ექიმა. ___________________________________

ჩანთები მსუბუქია. ___________________________________

17. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗ.

18. ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ: [60]

19. ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲩᲐᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲔᲗ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲗ.

20. ᲐᲮᲐᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲖᲔ ᲐᲐᲒᲔᲗ 10 ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲘᲗ.

21. ᲨᲔᲐᲔᲠᲗᲔᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:

| | |
|---|---|
| რა არის ბაზარი? | სურსათი დევს დახლებზე. |
| რა იყიდება ბაზარში? | ბაზარში საქონელს ყიდულობს მყიდველი. |
| ვინ ყიდის ბაზარში საქონელს? | ბაზარში იყიდება სურსათ-სანოვაგე. |
| ვინ ყიდულობს? | ბაზარი სავაჭრო ადგილია. |
| სად დევს სურსათი? | გამყიდველი სასწორზე წონის თავის პროდუქტს. |

| | |
|---|---|
| სად იყიდება ბოსტნეული და ხილი? | ბაზარში საქონელს ყიდის გამყიდველი. |
| რაზე წონის გამყიდველი თავის პროდუქტს? | ბოსტნეული და ხილი ბაზრის ბოლოს იყიდება. |

**22. მოისმინეთ ტექსტი: [61]**

**23. უცნობი სიტყვები ჩაიწერეთ, მოძებნეთ ლექსიკონში და განმარტეთ.**

**24. გადმოეცით მოსმენილის შინაარსი.**

 

*გაკვეთილი 11*

1. მოისმინეთ დიალოგი: [62]

2. უცნობი სიტყვები ჩაიწერეთ, მოძებნეთ ლექსიკონში და განმარტეთ.

3. ახალ სიტყვებზე ააგეთ 10 წინადადება და წარმოთქვით.

4. დააკავშირეთ კითხვასთან სწორი პასუხი:

| | |
|---|---|
| –თეა, სუპერმარკეტში არ შევიდეთ? | –შევიდეთ, პროდუქტების ყიდვა მინდა. |
| – ეს ჭიქები მინდა და თუ შეიძლება მითხარით, რა ღირს ისინი? | –ახლავე გეტყვით, ფასები აქვე აწერია, თაროებზე: თითო ჭიქა ხუთი ლარი ღირს. |
| –არ ვიცი რომელი თეფშები ავიღო, ეს თეფშები თუ ისინი? თქვენ რას მირჩევთ? | –ეს თეფშები უკეთესი ხარისხისაა და უფრო ძვირიც ღირს. ისინი ძალიან პრაქტიკულია და ლამაზი. |
| –დაგეხმაროთ? | –დიახ, თუ შეიძლება! |

5. მოისმინეთ ტექსტი: [63]

6. ამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.

მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ სიტყვათა განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა ვერ გაიგეს / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს.

7. ახალ სიტყვებზე ააგეთ 10 წინადადება და წარმოთქვით.

8. უპასუხეთ კითხვებს:

როგორი მაღაზიაა სუპერმარკეტი?

რა იყიდება სუპერმარკეტში?

სად აწყვია პროდუქტი სუპერმარკეტში?

ვინ გეხმარებიან სუპერმარკეტში პროდუქციის არჩევაში?

რა შეიძლება შეიძინოთ სურსათის განყოფილებაში?

რაში აწყობს მყიდველი  პროდუქტებს?

ვინ ითვლის ნავაჭრს სუპერმარკეტში?

რით შეიძლება გადაიხადოთ პროდუქტის საფასური?

9. ბანერზე წარმოდგენილია ნახატი „სუპერმარკეტში“. აღწერეთ ნახატი.

ა. ბანერის აღწერაში მონაწილეობის მიღება სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის.

ბ. მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ საგნების თუ მოვლენების

განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა არ იციან ან / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს (სინონიმური, აღწერითი განმარტებები).

10. მოისმინეთ ტექსტი: [64]

11. ამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.

მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ სიტყვათა განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა ვერ გაიგეს / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს.

12. ახალ სიტყვებზე ააგეთ 10 წინადადება და წარმოთქვით.

13. მოისმინეთ დიალოგები: [65-1-2]

14. მონიშნეთ+-ით სწორი წინადადებები.

ბექა ხვალ მაღაზიაში უნდა წავიდეს.

ბექას ზაფხულისთვის სჭირდება ტანსაცმელი.

ბექა ქარვასლაში მიდის.

თეკლა ქურთუკს ისინჯავს.

თეკლას ქურთუკი არ მოერგო.

ბექა ლურჯ სვიტერს ყიდულობს.

ბექამ კოსტუმი ვერ იყიდა.

თეკლამ ჩექმა იყიდა.

15. დააჯგუფეთ ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელის აღმნიშვნელი სიტყვები.

16. შეადგინეთ და დაწერეთ მსგავსი დიალოგები თემაზე: ტანსაცმლის მაღაზიაში.

17. მოვუსმინოთ ტექსტს: [66]

18. ამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.

მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ სიტყვათა განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა ვერ გაიგეს / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს.

19. გადმოეცით ტექსტის შინაარსი თქვენი სიტყვებით.

მოსმენილი ტექსტის შინაარსის გადმოცემა სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის.

20. ბანერზე წარმოდგენილია ნახატი „ბაზრობა“. აღწერეთ ნახატი.

ა. ბანერის აღწერაში მონაწილეობის მიღება სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის.
ბ. მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ საგნების თუ მოვლენების განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა არ იციან ან / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს (სინონიმური, აღწერითი განმარტებები).

# თემა 7
# სოფელი

  *გაკვეთილი 12*

1. გაეცანით ნახატს:



2. რა სიტყვები იცით? ჩამოთვალეთ.

3. აღწერეთ სურათი.

სურათის აღწერა სავალდებულოა ყველა მსმენელისთვის.

4. მოისმინეთ და დაიმახსოვრეთ ახალი სიტყვები და ფრაზები. [67]

5. მოვუსმინოთ დიალოგს: [68]

6. დაიმახსოვრეთ და ჩაიწერეთ ლექსიკონში ახალი სიტყვები:

7. ახალი და ადრე შესწავლილი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით, ავაგოთ დიალოგები წყვილებში.

8. მოისმინეთ დიალოგები: [69; 70]

9. ამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.

მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ სიტყვათა განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა ვერ გაიგეს / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს.

10. დააკავშირეთ ერთმანეთთან კითხვა და სწორი პასუხი:

–გიორგი, როდის ჩამოხვედი მთიდან?

–გუშინ დილით.

–როგორ ამინდები იყო?

–ბოლო დღეებში აცივდა.

–ნიკა, ეს ყანები სულ თქვენია?

–კი, ჩვენია.

–აქ რა გითესიათ?

–აქ სიმინდია დათესილი.

–კარგი მოსავალი აიღეთ?

–არა, შარშან დიდი სეტყვა მოვიდა და ნათესები სულ გააფუჭა.

11. ახალ სიტყვებზე ააგეთ დიალოგები და გაითამაშეთ ერთმანეთში (დაიყავით წყვილებად).

12. მოისმინეთ ტექსტი და გადმოეცით თხრობით: [71]

13. როგორი იყო ხარის რქაზე მჯდარი ბუზი? დაახასიათეთ და შეაფასეთ.

14. მოვუსმინოთ ტექსტს: [72]

15. ამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.

მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ სიტყვათა განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა ვერ გაიგეს / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს.

16. გადმოეცით ტექსტის შინაარსი.

17. ბანერზე წარმოდგენილია ნახატი „ჩემი სოფელი“. აღწერეთ ნახატი.

ა. ბანერის აღწერაში მონაწილეობის მიღება სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის.
ბ. მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ საგნების თუ მოვლენების განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა არ იციან ან / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს (სინონიმური, აღწერითი განმარტებები).

18. მოისმინეთ დიალოგი: [73]

19. ამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.

მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ სიტყვათა განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა ვერ გაიგეს / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს.

20. დაჯგუფდით და გადმოეცით ამ ტექსტების მოკლე შინაარსი თქვენი სიტყვებით.

21. ყურადღებით მოუსმინეთ ტექსტს: [74]

22. ამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.

მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ სიტყვათა განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც

სტუდენტებმა ვერ გაიგეს / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს.

## 23. გადმოეცით ტექსტის შინაარსი.

## 24. საშინაო დავალება: ტექსტების მომზადება პრეზენტაციისთვის.

* * *

გაზაფხულზე ქალაქი ლამაზია, მაგრამ სოფელი *განსაკუთრებით* ლამაზია, ულამაზესია. ამ გაზაფხულზე ჩემს მეგობართან ერთად სოფელში წავედი პაპასთან და ბებიასთან.

პაპა და ბებია ახალციხის რაიონის ერთ პატარა და ლამაზ სოფელში ცხოვრობენ. მათ კარგი *მეურნეობა* აქვთ: *ყანა, ხეხილის ბაღი, ვენახი,* რომელსაც პაპა *უვლის* და კარგი *ბოსტანი,* სადაც ბებია მუშაობს ხოლმე.

* * *

გიორგი ჩემი მეგობარია. იგი *თბილისელია*, ჩემთან ერთად სწავლობს. გიორგი
*მესხეთში,* საქართველოს ულამაზეს *კუთხეში, არასოდეს* ყოფილა. მას ძალიან მოეწონა *იქაურობა*, განსაკუთრებით კი ჩვენი სოფელი.

ბებია და პაპა *გახარებულები* იყვნენ ჩვენი მისვლით.

პაპას დიდი *ორსართულიანი* სახლი აქვს. პირველ

*სართულზე* ერთი *ოთახი* და *მარანია*, მეორე სართულზე კი ხუთი ოთახი – სამი *საძინებელი*, ერთი *სასტუმრო ოთახი* და ერთიც *კაბინეტი* ჩემთვის. როცა მივდივარ, ამ ოთახში ვიძინებ ხოლმე. აქ წიგნის *თაროები* და ბევრი წიგნია. მე კითხვა ძალიან მიყვარს. ეს იცის პაპამ და ეს ოთახი ჩემთვის *მოაწყო*.

სახლს წინ დიდი *ეზო* აქვს. ეზოში ხილის ხეებია. სახლის უკან ვენახია, სახლის გვერდით კი ბოსტანია. სახლს წინა *მხარეს კიბე* აქვს. კიბით *აივანზე* ადიხარ. *ზაფხულობით* ჩემი ბიძაშვილები და მამიდაშვილები აივანზე *ვიკრიბებით* და დიდხანს *ვსაუბრობთ, ვხუმრობთ, ვიცინით, ვთამაშობთ.*

გიორგიმ ერთ-ერთ საძინებელში დაიძინა. აქ დგას ორი *საწოლი, კარადა*, პატარა მაგიდა, სამი სკამი და ერთი *სავარძელი*. ოთახი *ნათელია*. აქვს ორი *ფანჯარა, კარებთან* კი *სარკეა* დაკიდებული.
მე ძალიან მიყვარს პაპაჩემის სოფელი და ჩვენი სახლი. პაპას ძალიან კარგი მეზობლები ჰყავს. მეც სოფელში ბევრი ამხანაგი, მეგობარი, ნაცნობი და ახლობელი მყავს. ჩვენ მათაც ვესტუმრეთ.

ჩვენს სოფელში ბევრი ჩვენი ნათესავი და ახლობელი ცხოვრობს, მაგრამ მე *ყველას* არ ვიცნობ. *ზოგი* ჩემთვის უცნობია, ბევრი კი ნაცნობია. სოფელში მე ბევრი ამხანაგი მყავს. მე და გიორგი ჩემი *ბავშვობის* მეგობარს ვესტუმრეთ. მას ძალიან გაუხარდა ჩვენი სტუმრობა.

ჩემი ამხანაგის პაპა პაპაჩემის თანამშრომელი იყო. ისინი სკოლაში ერთად მუშაობდნენ, კოლეგები იყვნენ. ახლა კი *პენსიაზე* არიან, მაგრამ თანამოაზრეები ხშირად *ხვდებიან* ერთმანეთს.

მათ *აგურის* ორსართულიანი სახლი აქვთ. პირველ სართულზე სასტუმრო და სასადილო ოთახებია, მეორე სართულზე კი – საძინებლები. სასტუმრო ოთახში *ტელევიზორი* დგას. ტელევიზორის წინ *ტახტი*, ორი *სავარძელი* და *ჟურნალების მაგიდაა*. სასადილო ოთახში კი დიდი მაგიდაა. ამ მაგიდის ირგვლივ ექვსი სკამი დგას. იქვე *ჭურჭლის კარადაა*. ამ მაგიდაზე ვისადილეთ. ჩემმა ამხანაგმა ბევრი *სადღეგრძელო* თქვა.

***სტუდენტები ამოიწერენ უცნობ სიტყვებს, მოიძიებენ მათ განმარტებებს სახლში და მომდევნო ლექციაზე საპრეზენტაციოდ მოამზადებენ დიალოგს. დავალება მიეცემათ წყვილებს.***

# თემა 8

## დრო

  *გაკვეთილი 13*

### 1. საათის ცნობა (რომელი საათია?)



– რომელი საათია?

– ოთხი საათია.



– რომელი საათია?

– ახლა ხუთის ხუთი წუთია.

ყურადღება მიაქციეთ: როცა ისარი თორმეტიდან გადავა, იწყება მომდევნო საათი, ამიტომ ის წუთები მისი კუთვნილებაა. ამ შემთხვევაში გამოიყენება ნათესაობითი ბრუნვის ფორმა.



ხუთის ათი წუთია



ხუთის თხუთმეტი წუთია



ხუთის ოცი წუთია

*ხუთის ნახევარია* – ამბობენ ქართულში იმის ნაცვლად, რომ ითქვას: ხუთის ოცდაათი წუთია.

**2. მოუსმინეთ დიალოგებს: [75]**

**3. უპასუხეთ კითხვებს:**

ტექსტის მიხედვით, რომელი საათია ახლა?

როდის მოვლენ ნიკა და მისი მეგობარი სახლში?

ნიკა და მისი მეგობარი ექვსის ნახევარზე მოვლენ.

რის ბილეთები იყიდეს ბიჭებმა?

რამდენ წუთში მივლენ ნიკა და მისი მეგობარი სტადიონზე?

რომელი გუნდები თამაშობენ?

**4. მონიშნეთ +-ით სწორი წინადადებები.**

ახლა ხუთი საათია.

ნიკა და მისი მეგობარი ცხრის ნახევარზე მოვლენ.

ნიკას მეგობარს გიორგი ჰქვია.

ბიჭებმა რაგბის ბილეთები იყიდეს.

ნიკა და გიორგი სტადიონზე 20 წუთში მივლენ.

ანამ საათის ცნობა არ იცის.

**5. მოისმინეთ ტექსტი: [76]**

**6. ამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.**

მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ სიტყვათა განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა ვერ გაიგეს / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს.

**7. უპასუხეთ კითხვებს:**

რომელ საათზე იღვიძებს ჯაბა?

რომელ საათზე იწყება სწავლა?

სად სწავლობს ჯაბა?

რით მიდის უნივერსიტეტამდე ჯაბა?

რით მიდიოდა ადრე სკოლაში პატარა ჯაბა?

როდის იყო ჯაბას დაბადების დღე?

როდის დაწვა ჯაბა?

სად მიდიან ჯაბა და მისი მეგობრები ზეგ?

როდის მიდიან სტუდენტები ბოტანიკურ ბაღში?

**8. გადმოეცით მოსმენილი ტექსტის შინაარსი.**

**9. მოისმინეთ დიალოგი: [77]**

**10. დაუკავშირეთ კითხვებს სწორი პასუხები:**

რამდენი წუთია საათში?

სამოცი

რამდენი საათია დღე–ღამეში?

ოცდაოთხი

რამდენი დღეა კვირაში?

შვიდი

რამდენი კვირაა თვეში?

ოთხი

რამდენი თვეა წელიწადში?

თორმეტი

## 11. მოისმინეთ დიალოგები: [78]

## 12. ამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.

მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ სიტყვათა განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა ვერ გაიგეს / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს.

## 13. შეაერთეთ კითხვასთან სწორი პასუხი:

როდის მიდის ნინო სოფელში? კვირამდე.

როდემდე იქნება ნინო სოფელში? გუშინწინ.

.

| | |
|---|---|
| ნინოს დედ–მამაც მიდის ნინოსთან ერთად? | საღამოს შვიდი საათიდან ცხრამდე. |
| როდის გაცივდა მაია? | არა, ვერ მიდიან, ისინი მუშაობენ. |
| როდიდან როდემდე იყო სტადიონზე მაია? | პარასკევ საღამოს. |

**14. უპასუხეთ კითხვებს:**

როდის მიდის ნინო სოფელში?

როდემდე იქნება ნინო სოფელში?

როდის ჩამოდიან ნინოს მშობლები სოფელში?

როდემდე რჩებიან ნინოს ბაბუა და ბებია სოფელში?

როდემდე დარჩებიან თბილისში ნინოს ბაბუა და ბებია?

როდის გაცივდა მაია?

სად იყო მაია გუშინწინ?

როდიდან როდემდე იყო ნინო სტადიონზე?

**15. მოისმინეთ დიალოგი: [79]**

**16. ამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ვერ გაიგეთ; დაიხმარეთ ლექსიკონი.**

მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ სიტყვათა განმარტებების

მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა ვერ გაიგეს / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს.

17. შეაერთეთ კითხვასთან სწორი პასუხი:

ნათია, სად მიდიხარ?

მაღაზიაში მივდივარ, ნაძვის ხე უნდა ვიყიდო.

ამ კვირაში ჩემი დაბადების დღეა. მოხვალ?

აუცილებლად.

რომელ დღესაა თეას დაბადების დღე?

ხუთშაბათს.

რა რიცხვია ხუთშაბათი?

ორი იანვარი.

18. უპასუხეთ კითხვებს:

სად მიდის ნათია?

რა უნდა იყიდოს ნათიამ?

როდის თოვდა?

როდის დადგა თეამ ნაძვის ხე?

რომელ დღესაა თეას დაბადების დღე?

რა რიცხვია თეას დაბადების დღე?

რომელ საათზე მივა ნათია თეასთან?

19. მოისმინეთ ტექსტი: [80]

## 20. ჩასვით სწორი პასუხები მრავალწერტილის ნაცვლად:

ზამთრის თვეებია: . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გაზაფხულის

თვეებია.

ზაფხულის თვეებია: . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .შემოდგომის თვეებია.

იანვარი და თებერვალი . . . . . . . . . . . . . . თვეებია.

ივლისი და აგვისტო ზაფხულის . . . . . . . . . . . . .

სექტემბერი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . თვეა.

მარტი გაზაფხულის . . . . . . . . . . .

## 21. ბანერზე წარმოდგენილია ნახატი „ზამთარი“. აღწერეთ ნახატი.

ა. ბანერის აღწერაში მონაწილეობის მიღება სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის.
ბ. მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ საგნების თუ მოვლენების განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა არ იციან ან / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს (სინონიმური, აღწერითი განმარტებები).

# თემა 9

# ქალაქი, ტრანსპორტი




*გაკვეთილი 14*

1. გამეორება: მოისმინეთ ტექსტი (თემა – ჩემი სოფელი): [81]

   **დაიმახსოვრეთ:**

   სულ, მუდამ – სინონიმებია;

   სინონიმებია აგრეთვე: უერთდება – ერთვის

2. ტექსტებიდან ამოიწერეთ ახალი სიტყვები და ფრაზები. ჩაიწერეთ ლექსიკონში და განმარტეთ.

3. დაჯგუფდით და თითოეულმა ჯგუფმა მოამზადოს თემა მოსმენილ ტექსტზე დაყრდნობით: *„როგორ დავისვენე სოფელში“*.

4. მოისმინეთ ტექსტი: [82]

5. მიუწერეთ, სწორია თუ არასწორი:

მე მარჯანიშვილის თეატრში მინდა მისვლა.

______________________

მე ტრანსპორტი მჭირდება. ______________________

მარინე თბილისში არასოდეს ყოფილა. __________________

თბილისი ახალი ქალაქია. ________________________

თბილისი ლამაზი ქალაქია. ________________________

თბილისი ორ ნაწილად იყოფა. ________________________

6. მოსმენილი ტექსტიდან ამოიწერეთ უცნობი სიტყვები და მოიძიეთ ლექსიკონში.

7. მოსმენილი დიალოგების მიხედვით, შეადგინეთ ტექსტი და აღწერეთ ქალაქი თბილისი.

8. ბანერზე წარმოდგენილია ნახატი „ძველი თბილისი“. აღწერეთ ნახატი.

ა. ბანერის აღწერაში მონაწილეობის მიღება სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის.
ბ. მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ საგნების თუ მოვლენების განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა არ იციან ან / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს (სინონიმური, აღწერითი განმარტებები).

9. მოისმინეთ ტექსტი: [83]

10. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ააგეთ ამ სიტყვებით წინადადებები.

11. უპასუხეთ კითხვებს:

ვის მიერაა დაარსებული თბილისი?

რომელია საქართველოს ძველი დედაქალაქი?

ქალაქის რომელი ნაწილია ევროპული სტილის?

რა არის დამახასიათებელი ძველი თბილისისათვის?

რომელი ადგილია თბილისის სავიზიტო ბარათი?

12. შეადგინეთ და მოჰყევით თემა: „*თბილისი – საქართველოს დედაქალაქი*"; გამოიყენეთ ტექსტიდან ახალი სიტყვები.

13. ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი: [84]

14. მოისმინეთ ტექსტი: [85]

15. მოიძიეთ ლექსიკონში ახალი სიტყვები და განმარტეთ.

16. მოისმინეთ დიალოგები: [86]

17. ახალი სიტყვები და ფრაზები ამოიწერეთ.

18. თითოეულმა სტუდენტმა შეადგინოს მცირე ტექსტი: „როგორ და რით ვმგზავრობ ქალაქში"

## 19. დაიმახსოვრეთ ანტონიმები:

ძველი – ახალი

ვიწრო – განიერი

ახლოს – შორს

ზემოთ – ქვემოთ

მარჯვნივ – მარცხნივ

## 20. ბანერზე წარმოდგენილია ნახატი „ავარია“. აღწერეთ ნახატი.

ა. ბანერის აღწერაში მონაწილეობის მიღება სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის.
ბ. მასწავლებელი ეხმარება სტუდენტებს ლექსიკონში იმ საგნების თუ მოვლენების განმარტებების მოძიებაში, რომელთა მნიშვნელობაც სტუდენტებმა არ იციან ან / თავად განუმარტავს მათ მნიშვნელობებს (სინონიმური, აღწერითი განმარტებები).

## 21. მოისმინეთ დიალოგები: [87]

## 22. დააკავშირეთ ერთმანეთთან კითხვა და სწორი პასუხი:

| | |
|---|---|
| –როდის მიდიხარ? | –თბილისი–ოზურგეთი ჩამოდგება მე–2 ლიანდაგზე. |
| –რითი მიდიხარ? | –ხვალ. |
| –როდის გადის თბილისი–ოზურგეთის მატარებელი? | –თვითმფრინავით მივდივარ. |

–ყველგან აჩერებს? –მატარებელი გადის ათის ხუთ წუთზე.

–რომელ ბაქანზე ჩამოდგება ეს მატარებელი? –არა, ყველა სადგურზე არ აჩერებს.

23. ᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ.

24. ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲗ ᲖᲔᲞᲘᲠᲐᲓ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲛᲓᲔ.

25. ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ: [88]

26. ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ:

რა იყო ძველ ხმელეთზე გადაადგილების საუკეთესო საშუალება?

რა დაცურავდა ზღვაზე?

რა მოძრაობს ახლა ხმელეთზე?

მოძრაობს მიწისზედა და მიწისქვეშა ტრანსპორტი.

რისგან შედგენა მატარებელი?

რა მოძრაობს თავისი რეისით?

რა მოძრაობდა ადრე ქალაქში?

რომელია მიწისქვეშა ტრანსპორტი?

რომელია საზღვაო ტრანსპორტი?

რომელია საჰაერო ტრანსპორტი?

რა არის ძალიან სწრაფი და კომფორტული?

# თემა 10

# ადამიანის აგებულება; ჯანდაცვა





*გაკვეთილი 15*

## 1. მოისმინეთ ტექსტი: [89]

## 2. შეაერთეთ კითხვასთან სწორი პასუხი:

| | |
|---|---|
| რა ნაწილებისგან შედგება ადამიანის სხეული? | კისერი. |
| | ყელი. |
| სხეულის რა ნაწილი აკავშირებს ერთმანეთთან თავს და ტანს? | ოცდათორმეტი. |
| რა არის ცხვირის ქვემოთ? | თეთრი. |
| სად არის კბილები? | კეფა. |
| რამდენი კბილი აქვს ადამიანს? | პირი. |
| რა ფერისაა კბილები? | ცერა თითი, საჩვენებელი თითი, შუა თითი, არათითი და ნეკა თითი. |
| რა ჰქვია თავის უკანა ნაწილს? | |
| რა ჰქვია კისრის წინა ნაწილს? | თავი, ტანი და კიდურები. |
| რა სახელები აქვს თითებს? | პირის ღრუში. |

**3. ᲛᲘᲣᲬᲔᲠᲔᲗ, ᲡᲬᲝᲠᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ:**

ადამიანის სხეული შემდეგი ნაწილებისგან შედგება: თავი, ტანი და კიდურები. ____________________

სახის ზედა ნაწილი შუბლია. ____________________

ცხვირის ქვემოთ თვალია. ____________________

თვალებსა და შუბლს შორის წარბებია. ____________________

ადამიანს ოცდათორმეტი კბილი აქვს. ____________________

კბილები შავია. ____________________

ადამიანს აქვს კიდურები: ერთი ფეხი და ერთი ხელი.

____________________

თითები მთავრდება ფრჩხილებით. ____________________

**4. ᲛᲝᲘᲫᲘᲔᲗ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲗ.**

**5. ᲛᲝᲧᲔᲕᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.**

**6. ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲔᲪᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:**

იაკობ გოგებაშვილი

## ჩხუბი ადამიანის სხეულის ნაწილებისა

ერთხელ ადამიანის სხეულის ნაწილებმა ჩხუბი დაიწყეს. ფეხებმა თქვეს:

– აღარ გვინდა თქვენი ტარება. თქვენ თვითონ იარეთ!

ხელებმა წამოიძახეს:

– აღარ გვინდა ამდენი მუშაობა თქვენთვის! თქვენ თვითონ იმუშავეთ!

პირმა წაიბუტბუტა:

– აღარ მინდა თქვენთვის საჭმლის ღეჭვა! თქვენ თვითონ ჭამეთ!

თვალები ამბობდნენ:

– აღარ გვინდა თქვენი ამდენი დარაჯობა!

ყურებმაც ხელი აიღეს სმენაზე.

ასე წაიჩხუბნენ ადამიანის სხეულის ნაწილები და შეწყვიტეს ერთმანეთის სამსახური. მაგრამ სხეულის ყველა ნაწილი დასუსტდა, სხეული გახდა და სიკვდილზე მიდგა. მაშინ მიხვდნენ ნაწილები, რომ ჩხუბით ისინი ერთმანეთს დაღუპავდნენ. ისევ შერიგდნენ, დაიწყეს ერთმანეთის დახმარება და სხეული ისევ საღი და ღონიერი შეიქნა.

7. მოისმინეთ დიალოგები: [90, 91]

8. მოიძიეთ ლექსიკონში ახალი სიტყვები და განმარტეთ.

9. ააგეთ მსგავსი დიალოგები და გაითამაშეთ.

10. მოვისმინოთ და დავიმახსოვროთ: [92]

11. წინადადებას დაუკავშირეთ სწორი პასუხი:

| | |
|---|---|
| | გაციებულია |
| მუცელი სტკივა იმიტომ რომ... | ცუდად ხედავს |
| | მკვახე ხილი ჭამა |

12. მონიშნეთ, როგორი განწყობაა გადმოცემული ამ ამბავში?

სევდიანი ისტორია

სერიოზული ამბავი

იუმორი/ხუმრობა

13. მოისმინეთ დიალოგი: [93]

14. შეაერთეთ კითხვები სწორ პასუხებთან:

| | |
|---|---|
| –თეა, სად იყავი გუშინ დილით? | –კი, ძალიან და ვერ მივდივარ! |
| –დიდი რიგი იყო? | –არა, არაფერი გამიგია. |
| –გეტკინა? | –სტომატოლოგთან წავედი. კბილი მქონდა ამოსაღები. |
| –შენ გაწუხებს კბილი? | –მე დავრეკე და ჩავეწერე, თერთმეტ საათზე დამიბარეს. |

15. გადმოეცით თხრობით თქვენი მოგონება: კბილის ექიმთან (გამოიყენეთ დიალოგიდან ახალი სიტყვები და ფრაზები).

16. ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი: [94]

17. მოიძიეთ ლექსიკონში ახალი სიტყვები და განმარტეთ.

18. გადმოეცით მოკლე შინაარსი მესამე პირში.

19. ტექსტიდან ამოიწერეთ სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ავადმყოფობას უკავშირდება.

20. საავადმყოფო – დაუკვირდით ამ სიტყვას.
როგორაა იგი მიღებული?

21. ისაუბრეთ ქვემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით.




22. მოისმინეთ ტექსტი: [95]

23. დაიმახსოვრეთ ფრაზები და მათი გამოყენებით შეადგინეთ ტექსტი: *„ჩემი მეგობარი ავად გახდა...“*

– თავს როგორ გრძნობ? როგორ ხარ?

– ძალიან ცუდად ვარ. ახლა ცოტათი უკეთ ვარ.

თავს

კარგად ვერ ვგრძნობ.

– საშინლად ვარ გაციებული. თავი მტკივა. სურდოც მაქვს.

სიცხე დაბალი მაქვს.

– მაღალი სიცხე მაქვს. მე მგონი, გრიპია.

– რა გაწუხებთ?

– მახველებს. არ მახველებს, მაგრამ სურდო მაქვს.

– სურდო არ მაქვს, მაგრამ მახველებს.

– რამდენიმე დღეა, მაღალი სიცხეები მაქვს.

– უბნის ექიმი გამოიძახე? წამლები დაგინიშნა?

– უკვე კარგად ვარ. გამოვჯანმრთელდი.

– ძალიან ცუდად იყო. სასწრაფო დახმარება გამოვიძახეთ.

– სიცხე არ მაქვს, მაგრამ მაციებს. ეტყობა სიცხე ამიწევს.

– სიცხის დამწევი უნდა დალიო.

– გრიპის საწინააღმდეგო რა მიიღე?

– წამლებთან ერთად ბევრი სითხე მიიღეთ.

– წნევამ ამიწია. წამალი დავლიე, მაგრამ არ დამიგდო.

– გულის წნევა მაღალი მაქვს.

– გული მაწუხებს. მოვლით ტკივილებს ვგრძნობ.

**24. მოისმინეთ ტექსტი: [96]**

25. დაყავით ტექსტი 3–4 ეპიზოდად და გადმოეცით თითოეულის მოკლე შინაარსი.

26. გადმოეცით ტექსტის შინაარსი სრულად.

27. შეაფასეთ ნანას საქციელი.

„საიმედო“

2012